განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი

ბიზნესის ადმინისტრირება

ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 10 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 27 ნოემბერი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	247865289
დაწესებულების სახე	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული (2012 წლის 13 დეკემბერი გადაწყვეტილება N 800)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გოჩა თუთბერიძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	იოსებ მასურაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიგი მიშელაძე, თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა უნივერსიტეტში მოქმედებს 2009 წლიდან. 2012 წელს აღნიშნულმა პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია. პროგრამა ითვალისიწინებდა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებული დარგების, კერძოდ: მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსებისა და საბუღალტრო აღრიცხვის შესაბამის სასწავლო კურსების სწავლებას. 2012 წლის აკრედიტაციის – გარე შეფასების რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამამ განიცადა განახლება. შემდგომ, აკრედიტაციის ახალი სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით, 2017 წლიდან დაიგეგმა პროგრამის განვითარებით დაინტერესებული მხარეების მოთხოვნათა კვლევა, რომლის შედეგების გათვალისწინებითაც დამტკიცდა წარმოდგენილი, ბიზნესის ადმინისტრირების ახალი საბაკალავრო პროგრამა. პროგრამის სტრუქტურა მთლიანობაში მოიცავს 240 ECTS კრედიტს. მათ შორის: სპეციალობის ძირითადი საგნები − 190 ECTS კრედიტი, სადაც 10 კრედიტი ეთმობა საბაკალავრო ნაშრომს, ხოლო 5 კრედიტი - საწარმოო პრაქტიკას. სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები − 15 ECTS კრედიტი. საუნივერსიტეტო საგნები − 35 ECTS კრედიტი.

თითოეული ECTS კრედიტი ითვალისწინებს 40%–ს საკონტაქტო ხოლო 60%–ს სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. საკონტაქტო სწავლება მიმდინარეობს რვა სემესტრის განმავლობაში, სემესტრში 16 სასწავლო კვირის ხანგრძლივობით (მე-9 კვირა ეთმობა შუალედურ შეფასებებს). საბაკალავრო ნაშრომსა და პრაქტიკას სტუდენტი ასრულებს სწავლების მერვე სემესტრში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 10 სექტემბერს შუახევის რაიონ სოფელ ტაკიძეები (ხიჭაური). ვიზიტამდე წინა დღეს 9 სექტემბერს, შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (გოჩა თუთბერიძე, იოსებ მასურაშვილი, გიგი მიშელაძე) 15 საათიდან და 19 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეს ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

10 სექტემბერს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10:30 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური), თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, საუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშიაI, II, IV და V სტანდარტებთან და ნაწილობრივ შესაბამისობაშია III სტანდარტებთან.

- **რეკომენდაციები**

  - პროგრამის მიზნები საჭიროებს კორექტირებას ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დანიშნულებიდან, უნივერსიტეტის მისიიდან და შრომის ბაზრის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე. პროგრამის მიზნები უნდა იყოს გასაგები, რეალისტური და მიღწევადი;
  - უნდა მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების შემცირება. პროგრამაში გაიწეროს სწავლის ყველა ის შედეგი, რომელიც იქნება გაზომვადი და შეფასებადი;
  - პროგრამას უნდა ჰქონდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომელიც უჩვენებს, თუ როგორ არის დაკავშირებული პროგრამის მიზნები სწავლის შდეგებთან;
  - პროგრამას უნდა გააჩნდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა;
  - პროგრამამ უნდა განსაზღვროს სამიზნე ნიშნულები თითეული სწავლის შედეგისათვის, რომელიც დაწესებულებას მისცემს საშუალებას, განახორციელოს ეფექტური მონიტორინგი და რომელიც შემდგომში გამოყენებული იქნება პროგრამის შედგების გასაუმჯობესებლად.
  - პროგრამის განმახორციელებლებმა უნდა უზრუნველყონ პროგრამის სწავლის შედეგებიდან და სასწავლო კურსების სწავლის მიზნებიდან გამომდინარე, სწავლის გაზომვადი და შეფასებადი შედეგების ფორმულირება სილაბუსებში (ბიზნესის საფუძვლები, ფინანსები და საბანკო საქმე, ოპერაციული მენეჯმენტი, საქართველოს ისტორია);
  - უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტების მეტი ჩართულობა სამეცნიეროკონფერენციებში, ასევე, ხელი შეუწყოს სტუდენტებს მიიღონ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში;
  - უნდა გაიზარდოს პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტის ხვედრითი წილი, რათა სტუდენტებმა შეიძინონ მეტი პრაქტიკული უნარები; სტუდენტს სათანადოდ უნდა განემარტოს სასწავლო პროგრამის შინაარსი და ამ პროგრამის განხორციელების პროცესში საკუთარი უფლება-მოვალეობები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურ დაგემვას და სწავლის შედეგების გაუმჯობესებას;
  - სტუდენტს უნდა მიეცეს შესაძლებლობა დამოუკიდებლად აირჩიოს საგანი არჩევითი სასწავლო კურსებიდან;
  - სტუდენტს უნდა მიეცეს შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს სააპელაციო პროცედურებით;
  - უნდა გაფორმდეს მემორანდუმები და გააქტიურდეს თანამშრომლობა პოტენციურ დამსაქმებლებთან, რაც უზრუნველყოფს კარიერული განვითარების მხარდაჭერას;
  - უნდა გააქტიურდეს თანამშრომლობა ადგილობრივ და უცხოურ; უნივერსიტეტებთან, რათა სტუდენტებს საშუალება მიეცეთ, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო აქტივობებში ან ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით;
  - ბიუჯეტში გაიწეროს ამჟამად არსებულთან შედარებით მეტი თანხა სამეცნიერო კონფერენციებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის;

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად და განვითარებისთვის უნდა გაიზარდოს ბიუჯეტში გაწერილი თანხები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საჭიროებს უფრო მჭიდრო თანამშრომლობას პროგრამაში ჩართულ პერსონალთან. აუცილებელია პროგრამაში ჩართული პერსონალის გადამზადება და მათთვის ტრენინგების მოწყობა, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლება-სწავლის ფორმები და შეფასების მეთოდები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კითხვარების შევსებით და ანალიზიათ, არამედ უნდა გააცნოს პროგრამა და თანდართული დოკუმენტაცია დაინტერესებულ მხარეებს, მოაწყოს მათთან შესაბამისი განხილვები და შემდგომ ამ განხილვებისა და გამოკითხვების ანალიზიდან გამომდინარე დაგეგმოს პროგრამის გაუმჯობესების ღონისძიებები;

- სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უნდა შემუშავდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასების ხარისხის ღონისძიებები (ურთიერთდასწრება, საცდელი ლექცია და სხვა).

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია პროგრამის ფარგლებში ელექტრონული პორტალის დანერგვა, რაც საგრძნობლად აამაღლებს სტუდენტის ცნობადობას და გაამარტივებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების პროცესს;

- სასურველია გაძლიერდეს ინგლისური ენის სწავლება და სასწავლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცეთ, ისწავლონ სხვა უცხო ენებიც, რაც ხელს შეუწყობს მათ ინტერნაციონალიზაციას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- სტუდენტების უფასო სწავლა.
- სტუდენტთა უფასო სამჯერადი კვება.
- სტუდენტების უფასო ჯანმრთელობის დაცვა.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ ახალ პროგრამაში განხორციელდა არსებითუ ცვლილებები. კერძოდ: შემცირდა საუნივერსიტეტო საგნების კრედიტები და გამოთავისუფლებელი კრედიტების ხარჯზე გაიზარდა სპეციალობის ძირითადი და არჩევით საგნები, კერძოდ: აკადემიური წერა, ფსიქოლოგია, საქართველოს ისტორია, ფილოსოფია, ეს საგნები იყო 5-5 კრედიტი. ახალ პროგრამაში ისინი, კერძოდ, აკადემიური წერა და საქართველოს ისტორია 3 კრედიტამდე, ხოლო ფსიქოლოგია და ფილოსოფია 2 კრედიტამდე შემცირდა. სხვა საუნივერსიტეტო საგნებიდან უცხო ენის (20 კრ.) მოცულობა დარჩა უცვლელი, ხოლო საოფისე კომპ. პროგრამები ნაცვლად 10 კრედიტისა ახალი პროგრამაში შემცირდა 5 კრედიტამდე. პროგრამას დაემატა ახალის სასწავლო კურსები: მართვის სოციოლოგია (ჩაანაცვლა სასწ. კურსი სოციოლოგია), ოპერაციული მენეჯმენტი,

ინვესტიციების საფუძვლები (ძველ პროგრამაში იყო „ინვესტიციების მენეჯმენტი“), რისკების მენეჯმენტი, საბაჟო საქმე, დროის მენეჯმენტი, კომპიუტერული ბუღალტრული პროგრამა ORIS, ფასიანი ქაღალდები და საფინანსო ბირჟა, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესში, პროექტების მართვა (არჩ.); საერთაშორისო საკრედიტო, საფინანსო და სავალუტო ურთიერთობები (არჩ.); ფირმის ეკონომიკა (არჩ.), ეკონომიკური ანალიზი (არჩ.), აღრიცხვა და კონტროლი კომერციულ ბანკებში (არჩ.), „ეკონომიკური კულტურა და ბიზნესის ეთიკა“ (არჩ; 5 კრ.). ცვლილება მოხდა შემდეგი სასწავლო კურსებში: 1. მარკეტინგის საფუძვლები _ იყო 10 კრ. და შემცირდა 5 კრედიტამდე; 2. ბურალტრული აღრიცხვის თეორია _ ძველ პროგრამაში იყო „ბურალტრული აღრიცხვის ზოგადი თეორია“; 3. საერთაშორისო ბიზნესი _ იყო 10 კრ. და შემცირდა 5 კრედიტამდე; 4. ბიზნესის PR ტექნოლოგიები _ ძველ პროგრამაში იყო არჩევითი საგანი, ხოლო ახალში გადავიდა სპეციალობის ძირითადი საგნების სიაში; 5. ფინანსური მენეჯმენტი _ იყო 10 კრ. და შემცირდა 5 კრედიტამდე; 6. სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა _ ძველ პროგრამაში იყო არჩევითი საგანი, ხოლო ახალში გადავიდა სპეციალობის ძირითადი საგნების სიაში; 7. საბაკალავრო ნაშრომი _ ძველ პროგრამაში იყო არჩებითი კომპონენტი ახალ პროგრამაში შეიცვალა და გახდა სავალდებულო კვლევითი კომპონენტი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ტბელ აბუსერიძის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნაწილობრივ ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტურია და მიღწევადი. პროგრამაში ვკითხულობთ, რომ „ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მართვის სპეციალისტების მომზადება ბიზნესის გაძღოლისა და ადმინისტრირებისათვის აღიარებული სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“. თუმცა ბუნდოვანია რა იგულისხმება „ბიზნესის გაძღოლისა და ადმინისტრირებისათვის აღიარებული სტანდარტებში“. პროგრამაში ასევე ვკითხულობთ, რომ „საბაკალავრო პროგრამის მიზანი განისაზღვრება ისეთი სპეციალისტების მომზადებით, რომლებიც შეძლებენ: თანამედროვე სამეწარმეო სუბიექტების და მათი ორგანიზაციული ქვედანაყოფების ეფექტიან ფინანსურ, მატერიალურ და შრომითი რესურსის მართვას და ადმინისტრირებას; ექნებათ თეორიული და სპეციალური ცოდნა საწარმოთა ჩამოყალიბების იურიდიულ- სამართლებრივ საკითხებზე ბიზნესის ნებისმიერ სფეროში; იქნებიან თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნებები; ექნებათ გააზრებული მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების, როგორც დარგის არსი და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა, აღჭურვილნი იქნებიან ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევებით“. ზოგიერთი ამ მიზნებიდან ნაკლებად სავარაუდოა მიღწეულ იქნას. მაგ. „ექნებათ თეორიული და სპეციალური ცოდნა საწარმოთა ჩამოყალიბების იურიდიულ- სამართლებრივ საკითხებზე ბიზნესის ნებისმიერ სფეროში“. ასეთი ცოდნა უბრალოდ ვერ ექნებათ ამ პროგრამის კურსდამთავრებულებს ვინაიდან ორი სასწავლო კურსის სწავლებით ასეთი „თეორიული და სპეციალური ცოდნა“ ვერ მიიღება. ბიზნესის ადმინსიტრირების ზოგადმა საბაკალავრო სგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ბიზნესისა და მენეჯმენტის ფართო, ანალიტიკური და ინტეგრირებული სწავლება. კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ რელევანტური ცოდნის და გაგების დემონსტრირება **ორგანიზაციების, გარე გარემოს,** რომელშიც ფუნქციონირებენ ეს ორგანიზაციები და იმის შესახებ, თუ როგორ **იმართებიან**

(მენეჯმენტი) ეს ორგანიზაციები. ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს ორგანიზაციის და გარე გარემოს მოსალოდნელი ცვლილებების გაგებაზე და ცვლილებებზე შესაძლო რეაგირებაზე (EQUAL Guidelines Undergraduate Degrees in General Business & Management). ზემოაღნიშნულიდან უნდა გამომდინარეობდეს პროგრამის მიზნები, რომელიც შემდგომში განსაზღვარვს პროგრამის სწავლის შედეგებს და პროგრამის სასწავლო გეგმას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა
- უნივერსიტეტის მისია
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან

რეკომენდაციები:

პროგრამის მიზნები საჭიროებს კორექტირებას ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დანიშნულებიდან, უნივერსიტეტის მისიიდან და შრომის ბაზრის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე. პროგრამის მიზნები უნდა იყოს გასაგები, რეალისტური და მიღწევადი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
პროგრამის სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება პროგრამის მიზნებს და შინაარსით მოიცავს პირველი საფეხურის შესატყვის ძირითად ცოდნას და უნარებს. სწავლის შედეგები მეტწილად პასუხობს კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. სწავლის შედეგები ითვალისწინებს დარგის თეორიული ცოდნის, მისი პრაქტიკული იმპლემენტაციის, აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციური, ასევე ანალიტიკური და აუცილებელი სოციალური უნარების განვითარებას. თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგების რაოდენობა ძალიან ბევრია, შესაბამისად დგება მათი გაზომვის და შეფასების პრობლემა. ამასთან ზოგიერთი სწავლის შედეგი ძალიან დეტალიზებულია მაგ. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ნაწილში ვკითხულობთ „ბიზნესპროექტების ცალკეული კომპონენტების შემუშავების უნარი“. გაუგებარია რა იგულისხმება ბიზნეს პროექტების ცალკეულ კომპონენტებში და შესაბამისად, ძნელად წარმოსადგენია როგორ უნდა გავზომოთ ან შევაფასოთ ეს უნარი, ან „სტატისტიკური კვლევის უნარი ეკონომიკური პროცესების რეგულირებისათვის“, როგორ უნდა გავზომოთ? კომუნიკაციის უნარში აღნიშნულია, რომ კურსდამთავრებული ფლობს „ადამიანებთან ურთიერთობის თეორიულ საფუძვლებსა და კომუნიკაციების ეფექტური გამოყენების უნარს“. აქ გაუგებარია რას ნიშნავს „ადამიანებთან ურთიერთობის თეორიული საფუძვლები“. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ უნივერსიტეტში არ ყოფილა ტრენინგები პროგრამის ხელმძღვანელებისა და აკადამიური პერსონალისათვის, თუ როგორ უნდა დაიწეროს პროგრამის სწავლის შედეგები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების შემცირება. პროგრამაში გაიწეროს სწავლის ყველა ის შედეგი, რომელიც იქნება გაზომვადი და შეფასებადი. პროგრამას უნდა ჰქონდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომელიც უჩვენებს, თუ როგორ არის დაკავშირებული პროგრამის მიზნები სწავლის შდეგებთან და ასევე პროგრამას უნდა გააჩნდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა. პროგრამამ უნდა განსაზღვროს სამიზნე ნიშნულები თითეული სწავლის შედეგისათვის, რომელიც დაწესებულებას მისცემს საშუალებას, განახორციელოს ეფექტური მონიტორინგი და რომელიც შემდგომში იქნება გამოყენებული პროგრამის შედგების გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან

რეკომენდაციები:

უნდა მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების შემცირება. პროგრამაში გაიწეროს სწავლის ყველა ის შედეგი, რომელიც იქნება გაზომვადი და შეფასებადი;
პროგრამას უნდა ჰქონდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომელიც უჩვენებს, თუ როგორ არის დაკავშირებული პროგრამის მიზნები სწავლის შდეგებთან;
პროგრამას უნდა გააჩნდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა;
პროგრამამ უნდა განსაზღვროს სამიზნე ნიშნულები თითეული სწავლის შედეგისათვის, რომელიც დაწესებულებას მისცემს საშუალებას, განახორციელოს ეფექტური მონიტორინგი და რომელიც შემდგომში გამოყენებული იქნება პროგრამის შედგების გასაუმჯობესებლად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზიბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვებს სწავლის უფლებას აღნიშნულ პროგრამაზე და გაივლის რეგისტრაციას „ტბელის უნივერსიტეტი“-ში. პროგრმაზე მიღების აღნიშნული და სხვა პირობები რეგულირდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (მუხლი 3), ეს წინაპირობები და უნივერსიტეტში აბიტურიენტთა რეგისტრაციის საკითხები შესაბამის დროს ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (პროგრამის წინაპირობა) ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში მოქმედებს „პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“. „ბიზნესის ადმინისტრირების“ პროგრამა შემუშავდა აღნიშნული წესის შესაბამისად. პროგრამაში საგნების განაწილება ეფუძნება შინაარსობრივ თანამიმდევრობას, საგნების თანმიმდევრობა შედეგენილია წინაპირობების დაცვით, რაც იძლევა დასახული კომპეტენციების სტუდენტისთვის მიღწევის შესაძლებლობას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის შინაარსი და შედეგები ერთმანეთთან თანხვედრაშია. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის მიერ არანაკლებ 240

კრედიტის მოგროვებას. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს. პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული დისციპლინების სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები განსაზღვრავს როგორც სასწავლო მასალის მოცულობას, ისე სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდებს. სტუდენტს შეუძლია დააგროვოს წელიწადში 60, ნაკლები ან მეტი კრედიტები, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა. პროგრამის შემადგენელი კომპონენტები შემდეგი პრინციპითაა დალაგებული: • სპეციალობის ძირითადი საგნები - 190 ECTS კრედიტი, სადაც ერთიანდება, ასევე, 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომი, ხოლო 5 კრედიტი - საწარმოო პრაქტიკა. • სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 15 ECTSკრედიტი. • საუნივერსიტეტო საგნები - 35 ECTS კრედიტი. პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება ბაკალავრიატის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პროგრამის შედგენაში ჩართული იყვნენ პროგრამის პროფესორ–მასწავლებლები და გათვალისწინებულია კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მოთხოვნები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“; ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები; ○ კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და შინაარსი ნაწილობრივ შეესაბამება საგანამანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს და განათლების ბაკალავრიატის საფეხურს. კერძოდ, სასწავლო კურსი „ბიზნესის საფუძვლები“, რომელიც სავალდებულო სასწავლო კურსია, სილაბუსის მიხედვით სტუნდენტს უნვითარებს ცოდნა-გაცნობიერებისა და დასკვნის უნარს და ღირებულებებს. ამასთან ღირებულებების ნაწილში მითითებულია, რომ სტუდენტი „აცნობიერებს ბიზნესის, მათ შორის მცირე ბიზნესის განვითარების აუცილებლობას, რაც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასა და განვითარებას“. მცირე ბიზნესის განვითარების აუცილებლობის გაცნობიერება ძალიან ძნელია მივიჩნიოთ ღირებულებად. მართალია ღირებულებების ერთიანი განსაზღვრება არ არსებობს, მაგრამ ითვლება, რომ ღირებულება წარმოადგენს გარკვეულ საზომს, რომლითაც ვაფასებთ მოვლენებს, თუ როგორია ისინი კარგი, ცუდი, სამართლიანი, უსამართლო, მორალური, ამორალური, ეთიკური, არაეთიკური და ა.შ. დასკვნის უნარში მითითებულია, რომ სტუდენტს „შეუძლია ქვეყანაში არსებული ბიზნეს-გარემოს შეფასება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება ბიზნესის ამა თუ იმ დარგში ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ განხორციელებული საქმიანობის ეფექტიანობისა და ინტერესების შესახებ“. ძალიან ზოგადია და ძალიან რთულია ასეთი უნარის გაზომვა და შეფასება. ანალოგიურ სიტუაციას აქვს ადგილი „ფინანსებისა და საბანკო საქმის“ სასწავლო კურსის შემთხვევაში. მაგალითად დასკვნის უნარში ვკითხულობთ: „შეუძლია ბიუჯეტის ფორმირებისა და მათი წყაროების შესახებ ინფორმაციის თავმოყრა და დაჯგუფება. საფინანსო სისტემის საბოლოო შედეგის განსაზღვრა. დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება ბიუჯეტის მდგომარეობის შესახებ“. გაუგებარია რას ნიშნავს „საფინანსო სისტემის საბოლოო შედეგი“ ასევე რომელ ბიუჯეტზეა საუბარი, არის ფირმის/კომპანიის ბიუჯეტი, სახელმწიფო ბიუჯეტი ადგილობრივი ბიუჯეტი და ა.შ. კომუნიკაციის უნარში კი მითითებულია, რომ სტუდენტს „შეუძლია საფინანსო და საბანკო სფეროში არსებული პრობლემების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა“. რატომ მხოლოდ საფინანსო და საბანკო სექტორში? სასწავლო კურსის შინაარის მოიცავს ფინანსური სისტემის სხვა სეგმენტებსაც. ძალიან ზოგადია ასევე „ოპერაციული მენეჯმენტის“ სასწავლო კურსის სწავლი შედეგები. სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელი იყო სწავლის შედეგების უკეთესად გაწერა. დასახვეწია სასწავლო კურსის „საქართველოს ისტორიის“ სწავლის შდდეგებიც, სადაც ცოდნა გაცნობირების ნაწილში წერია, რომ სტუდენტს „აქვს მაღალი

მოქალაქეობრივი შეგნება“, ხოლო კომუნიკაციის უნარში კი „თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან“. რომელი კვლევის მეთოდების? გაუგებარია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ○ სასავლო კურსის სილაბუსები; ○
რეკომენდაციები: პროგრამის განმახორციელებლებმა უნდა უზრუნველყონ პროგრამის სწავლის შედეგებიდან და სასწავლო კურსების სწავლის მიზნებიდან გამომდინარე, სწავლის გაზომვადი და შეფასებადი შედეგების ფორმულირება სილაბუსებში (ბიზნესის საფუძვლები, ფინანსები და საბანკო საქმე, ოპერაციული მენეჯმენტი, საქართველოს ისტორია)
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად პროგრამის კურუკულუმი და ცალკეული დისციპლინების სილაბუსები ითვალისწინებს სტუდენტებისათვის პრაქტიკული, სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებისათვის საჭირო აქტივობებს, კერძოდ, სასწავლო პრაქტიკას, სტაჟირებას, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას და სხვა. პროგრამის სტრუქტურა ითვალიწინებს პრაქტიკული კომპონენტის გავლას 5 კრედიტის ფარგლებში, რომლის მიზანია სტუდენტებმა საქმიან ურთიერთობებში გამოიყენონ აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები, განავითარონ და გააფართოვონ უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრების შესახებ მიღებული ცოდნა და შეძლონ თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან დაკავშირება. სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები სწავლობენ როგორც პრაქტიკის ობიექტის ფუნქციონირების ზოგად სპეციფიკას, ასევე იმ კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციონირებისა და მართვის თავისებურებებს, სადაც იქნება სტუდენტი მიმაგრებული; პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტი ვალდებულია აწარმოოს პრაქტიკის დღიური, მისი ყოველდღიური საქმიანობისა და შესრულებული ფუნქციების აღწერით კონკრეტული თარიღების გათვალისწინებით. ამასთანავე სტუდენტს დამსაქმებლის მოთხოვნის შემთხვევაში, ეძლევა საშუალება სწავლის პარალელურად გაიაროს სტაჟირება ბანკებში, სატრანსპორტო გაერთიანებებში, სამინისტროებში და ა.შ. პრაქტიკის შედეგები უნდა აისახოს პრაქტიკის ანგარიშში, რომლის დაცვაც ხდება წინასწარ განსაზღვრულ დროს. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები იშვიათად იღებენ მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში და ისიც, როცა ასეთი კონფერენცია ტარდება უნივერსიტეტში, მათი სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა შემოიფარგლება მარტივი ტიპის რეფერატების მომზადებით და შემდგომ სბაკალავრო ნაშრომზე მუშაობით. არ იმართება უნივერსიტეტთშორისი და საერთაშორისო კონფერენციები, სტუდენტებს არა აქვთ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო გაცლით პროგრამებში. ასევე უნივერსიტეტი პროგრამის სტუდენტებს სხვადასხვა უნარების განვითარების მიზნით არ სთავაზობს ტრეინინგებს, შეხვედრებს დამსაქმებლებთან. ზოგადი ცოდნის გაღრმავების და ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების შესწავლა-გაანალიზების მიზნით არ ხდება შეხვედრების ორგანიზება დარგის სპეციალისტებთან. დამსაქმებლებთან შეხვედრის შედეგებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტს ჰყავს დამსაქმებლების მცირე რაოდენობა, ხოლო მათ შორის თანამშრომლობის არსებული პრაქტიკა არასაკმარისია, ასევე ბუნდოვანია გრძელვადიან პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოებში უნივერსიტეტთან თანამშრომლობის პერსპექტივა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანათლებლო პროგრამა
- საწარმოო პრაქტიკის სილაბუსი
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტების მეტი ჩართულობა სამეცნიეროკონფერენციებში, ასევე, ხელი შეუწყოს სტუდენტებს მიიღონ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში;
უნდა გაიზარდოს პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტის ხვედრითი წილი, რათა სტუდენტებმა შეიძინონ მეტი პრაქტიკული უნარები;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სააგანმანათლებლო პროგრამის თითეული საწავლო კურსის სილაბუსში გაწერილია სწავლება-სწავლის ფორმები და მეთოდები, რომლებიც შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საფეხურთან და კურსის შინაარსთან და ძირითადში უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის ფარგლებში სწავლისა და სწავლების პროცესში გამოიყენება: ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა; საწარმოო პრაქტიკა; პროექტი; საბაკალავრო, ნაშრომი და კონსულტაცია.

სწავლება-სწავლის ფორმები სასწავლო კურსების მიხედვით იდენტურია და არ ითვალისწინებენ სასწავლო კურსების სპეციფიკას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

სწავლება-სწავლის ფორმები უნდა გამომდინარეობდეს სასწავლო კურსის მიზნებიდან, სწავლის შედეგებიდან და ითვალისწინებდეს სასწავლო კურსების სპეციფიკას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. სტუდენტის სემესტრული მუშაობა თითოეულ საგანში ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მიიღება მეცადინეობებზე სხვადასხვა აქტივობების, სემინარულ-პრაქტიკული მუშაობის, რეფერატების, პრეზენტაციების, კვლევითი კომპონენტის, შუალედური შეფასებების, დასკვნითი გამოცდებისა და სასწავლო კურსით გათვალისწინებული სხვა შედეგების საფუძველზე. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება წარმოადგენს ამავე სასწავლო კურსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას, რაც იყოფა ორ ნაწილად და გულისხმობს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს. სასწავლო კურსის 100 ქულიდან, შუალედურ შეფასებას ეთმობა 60, ხოლო დასკვნით გამოცდას 40 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებები შედგება შეფასების კომპონენტებისაგან, რომლებიც აერთიანებს ზეპირი და წერითი სახის გამოკითხვებს, გამოცდებს, პრაქტიკულ და თეორიულ სამუშაოებს, სტუდენტის შეფასება ხდება შეფასების რამდენიმე კომპონენტის გამოყენებით, რომლებიც დეტალურად გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

○

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუ სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან

დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტი სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას იღებს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისგან. მიუხედავად ამისა, სტუდენტები არ არიან სათანაოდ ინფორმირებულნი პროგრამისა და ამ პროგრამის განხორციელების პროცესში საკუთარი უფლება-მოვალეობების შესახებ. ინფორმაციის ნაკლებობა სტუდენტებს არ აძლევს საშუალებას, დამოუკიდებლად დაგეგმონ სასწავლო პროცესი და დაგეგმვის პროცესში მიიღონ შესაბამისი კონსულტაცია. მაგალითისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გაწერილია 15 კრედიტი სპეციალობის არჩევითი საგნებისათვის, სტუდნტებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სტუდენტებს არ აქვთ სათანადო ინფრომაცია არჩევითი დისციპლინებისა და ამ დისციპლინების არჩევის პროცედურების შესახებ. შეფასებადი სასწავლო აქტივობების შემდეგ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს საკუთარი შედეგების შესახებ. ხდება შედეგების განხილვა და განმარტება, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს გააცნობიეროს საკუთარი შეცდომები და გაიუმჯობესოს აკადემიური მიღწევები. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტს საშუალება აქვს გაასაჩივროს საკუთარი ქულა, პრობლემის განხილვა ხდება უშუალოდ სტუდენტსა და ლექტორს შორის ინდივიდუალური გასუაბრებით და სტუდენტები არ არიან ინფორმირებულნი დამატებით სააპელაციო პროცედურების შესახებ. შესაბამისად, როგორც წესი, აღნიშნული ტიპის პრობლემები გვარდება ლექტორსა და სტუდენტს შორის ინდივიდუალური შეთანხმებით და პროგრამის განხორციელების ფარგლებში სხვა სააპელაციო პროცედურების პრაქტიკა არ არსებობს. კარიერული მართვის კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობის მიზნით სტუდენტები გადიან კონსულტაციებს რეზიუმეების, სამოტივაციო წერილების მომზადებასა და პოტენციურ დამსაქმებელთან ურთიერთობის შესახებ. აღნიშნული ღონისძიებების შესახებ ინფრომაცია ქვეყნდება საინფრომაციო დაფაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტს უჭირს მემორანდუმების გაფორმება რეგიონში წარმოდგენილ შესაბამისი მიმართულების საქმიანობით დაკავებულ კომპანიებთან, რთულდება კონკრეტული ღონისძიებების ჩატარება, სადაც მოხერხდება პოტენციურ დამსაქმებლებსა და სტუდენტებს შორის კომუნიკაცია. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებსა და კვლევით ღონისძიებებში. თუმცა, მსგავსი ტიპის აქტივობები შემოიფარგლება ძირითადად შიდა საუნივერსიტეტო ღონისძიებებით და იშვიათად, რეგიონში წარმოდგენილ სხვა უნივერსიტეტებში არსებული პროექტებით. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები გარკვეულ დონეზე ინფორმირებულნი არიან სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ, პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს არ ეძლევათ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევით საქმიანობებში ან ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით. სწავლის შედეგებისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად აკადემიური

პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია ინდივიდუალური საკონსულტაციო საათები. კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულია ყოველკვირეული კონსულტაციის ჩატარების დღე და დრო, თითოეული სასწავლო კურსის პირველ კვირაში ხდება სილაბუსის გაცნობა და პრეზენტაცია, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას საკონსულტაციო საათების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • დამსაქმებლებთან თანამშრომლობა და ამ თანამშრომლობის შედეგები • სხვა უნივერსიტეტბთან თანამშრომლობა და თანამშრომლობის შედეგები • უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები • ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა • ბიზნესის ადმინსიტრირების საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან • ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან • ინტერვიუ მოწვეულ პერსონალთან • ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან • ინტერვიუ დამსაქმებელთან • სასწავლო კურსების სილაბუსები
რეკომენდაციები: • სტუდენტს სათანადოდ უნდა განემარტოს სასწავლო პროგრამის შინაარსი და ამ პროგრამის განხორციელების პროცესში საკუთარი უფლება-მოვალეობები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურ დაგემვას და სწავლის შედეგების გაუმჯობესებას. • სტუდენტს უნდა მიეცეს შესაძლებლობა დამოუკიდებლად აირჩიოს საგანი არჩევითი სასწავლო კურსებიდან. • სტუდენტს უნდა მიეცეს შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს სააპელაციო პროცედურებით. • უნდა გაფორმდეს მემორანდუმები და გააქტიურდეს თანამშრომლობა პოტენციურ დამსაქმებლებთან, რაც უზრუნველყოფს კარიერული განვითარების მხარდაჭერას. • უნდა გააქტიურდეს თანამშრომლობა ადგილობრივ და უცხოურ უნივერსიტეტებთან, რათა სტუდენტებს საშუალება მიეცეთ, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო აქტივობებში ან ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია პროგრამის ფარგლებში ელექტრონული პორტალის დანერგვა, რაც საგრძნობლად აამაღლებს სტუდენტის ცნობადობას და გაამარტივებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების პროცესს. • სასურველია გაძლიერდეს ინგლისური ენის სწავლება და სასწავლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცეთ, ისწავლონ სხვა უცხო ენებიც, რაც

ხელს შეუწყობს მათ ინტერნაციონალიზაციას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა			X	

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. თუმცა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტებში შეგვხვდა ორი თანამშრომლის მოძველებული დოკუმენტები (ცნობები დოქტორანტურაში სწავლის შესახებ), კერძოდ: ა) ერთ-ერთ დოკუმენტად. რომელმაც ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული ადამიანური რესურსის აკადემიური სფეროსადმი პროფესიული დამოკიდებულება უნდა დაადასტუროს წარმოდგენილია 2016 წელს გაცემული ცნობა, რომ სწავლობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურაში და არის მე-3 წლის დოქტორანტი (?!), ანუ ორი წლის წინ სწავლობდა დოქტორანტურის მე-3 კურსზე, რომელიც უკვე დამთავრებული უნდა ჰქონდეს, თუმცა სხვა რაიმე აკადემიური დოკუმენტი არაა წარმოდგენილი, რომელიც დაადასტურებდა რომ ის უფლებომისილია ამ პროგრამის სასწავლო კურსებს უხელმძღვანელოს; ბ) ანალოგიურია ამავე საგანმანათლოებლო პროგრამის მეორე თანამშრომლის მიერ წარმოდგენილი აკადემიური აკადემიური სფეროსადმი პროფესიული დამოკიდებულების დამადასტურებელი დოკუმენტი - 2013 წელს გაცემული ცნობა (?!), რომ სწავლობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დოქტორანტურაში და არის 1-ლი კურსის დოქტორანტი, ანუ 5 წლის წინ სწავლობდა დოქტორანტურის 1-ელ კურსზე, რომელიც ამჟამად უნდა დამთავრებული ჰქონდეს და სხვა რაიმე აკადემიური დოკუმენტი არაა წარმოდგენილი, რომელიც დაადასტურებდა რომ ის უფლებომისილია ამ პროგრამის სასწავლო კურსებს უხელმძღვანელოს. ა) - შემთხვევაში კონკრეტულ პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ რამოდენიმე თვის წინ დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა დოქტორის აკადემიური ხარისხი. წარმოადგენს და ჩაანაცვლებს ძველ ცნობას შესაბამისი დოკუმენტით. ბ) - შემთხვევაშიც აგრეთვე აღინიშნა, რომ მოძველებულ ცნობას ჩაანაცვლებდა რელევანტური დოკუმენტით.

აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მათს კომპეტენტურობას; მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით; პროგრამას გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე; აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში; პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მათი კვალიფიკაცია დასტურდება „ბიზნესის ადმინისტრირების“ მიმართულების შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომებით; პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის სტუდენტები, უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით; ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს..
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამა (ადამიანური რესურსი), ▪ სასწავლო პროცესის რეგულირების წესი (31–36 მუხლები), ▪ აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი, ▪ აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი აწარმოებს და იყენებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგებს და აანალიზებს ამ შედეგებს; აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს როგორც მათი სასწავლო ასევე კველვითი საქმიანობის შეფასებას; შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით: - ბაკალავრიატის აღნიშულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალისთვის გლობალურ აკადემიურ სივრცეში ინტერგირების მიზნით უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ მოხდა ინტერნეტის ქსელთან წვდომის შესაძლებლობის გაფართოება თითქმის ყველა სასწავლო აუდიტორიებსა და სამუშაო ოთახებში. მათ შორის ბიბლიოთეკაშიც. ამ მიზნით აგრეთვე შეძენილი და დამონტაჟებული იქნა სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის საჭირო შესაბამისი რაოდენობის ახალი ტექნიკა-ტექნოლოგიები; აღნიშული ღონისძიება კი მიგვაჩნია, რომ დაეხმარება პერსონალს პროფესიულ ზრდაში - უცხოელ კოლეგებთან კონტაქტების გაღრმავებაში, საერთაშორისო გამოცდილების გაცნობაში/შეძენაში. უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად ვერ ვიტყოდით რომ შექმნილია აუცილებელი პირობები (მატერიალური, ფინანსური რესურსები, და სხვა). ამ მიზნით ბიუჯეტით გამოყოფილი ფინანსური რესურსები იმდენად მწირია - საკუთარი ხარჯებით უწევთ წასვლა მივლინებებში - სამეცნიერო კონფერენციებზე. იყო შემთხვევაც, როცა სტუდენტები საერთაშორისო კონფერენციაზე (რომელიც ტარდებოდა საქართველოს ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში) საკუთარი ხარჯებით წაიყვანა პროგრამის პროფესორმა. ▪ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი. ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა-გრაფიკი.

რეკომენდაციები: აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად და განვითარებისთვის უნდა გაიზარდოს ბიუჯეტში გაწერილი თანხები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ბაკალავრიატის აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას; ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია მატერიალური რესურსები რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის

სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ - სასწავლო ინვენტარი (მაგიდები და სკამები), კომპიუტერები, პროექტორები, ინტერნეტი; სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სასწავლო და სამუშო ოთახები უზრუნველყოფილია გათბობის სისტემით, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო და სამუშაო პროცესის ნორმალურ ფუნქციონირებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ პროგრამის სასწავლო კურსები (სავალდებულო ლიტერატურა) ▪ ბიბლიოთეკის ელექტრონული საძიებელი: http://www.tbeli.ge/biblio/opac/index.php
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური პერსონალის და სტუდენტების პროფესიული ზრდის მიზნით ბიუჯეტში საკმარისი თანხები არ არის გათვალისწინებული სამეცნიერო კონფერენციებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები უნივერსიტეტის ბიუჯეტის მე-7 და მე-8 პუნქტი.
რეკომენდაციები: ბიუჯეტში გაიწეროს ამჟამად არსებულთან შედარებით მეტი თანხა სამეცნიერო კონფერენციებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების სამივლინებო თანხების გამოყოფა ბიუჯეტში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): - სტუდენტების უფასო სწავლა. - სტუდენტთა უფასო სამჯერადი კვება. - სტუდენტების უფასო ჯანმრთელობის დაცვა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „ტბელის უნივერსიტეტში“ შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“, ასევე შემუშავებულია სხვადასხვა სახის კითხვარები, რომლებიც ითვალისწინებს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, პროფესორ-მასწავლებლების გამოკითხვები, ასევე შემუშავებულია სილაბუსისა და პროგრამის შეფასების ფორმები. აკრედიტაციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების მიზნით უნივერსიტეტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, აკრედიტაციის სტანდარტის შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად, შედგა განსახორციელებელი სამუშაოების გეგმა და განისაზღვრა ცალკეული აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სამუშაო ჯგუფი პერიოდულად აწყობდა სამუშაო და საინფორმაციო შეხვედრებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან, სტუდენტებთან და პროგრამის განვითარებით დაინტერესებულ სხვა ორგანიზაციებთან თუ პირებთან. სამუშაო ჯგუფმა უნივერსიტეტის სხვა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდონაციაში გადაამუშავა და განაახლა შიდა საუნივერსიტეტო ნორმატიული მოთხოვნები, კერძოდ: • „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, • „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“, • „პირველიდამეორესაფეხურის უმაღლესისაგანმანათლებლოპროგრამებისდაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების,შეფასებისადაგანვითარებისუზრუნველყოფისწესი“, • „აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი“, • „აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი“, • „აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა-გრაფიკი“.

• „პროგრამის შემოწმების ფორმა“,
• „სილაბუსის შემოწმების ფორმა“,
• „სტუდენტთა მხრიდან სილაბუსის შეფასების ფორმა“,
• „სტუდენტთა კითხვარი“,
• „პერსონალის კითხვარი“,
• „კურსდამთავრებულთა კითხვარი“,
• „დამსაქმებელთა კითხვარი“.

დამტკიცებული ფორმების შესაბამისად გამოიკითხა სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. აღნიშნული გამოკითხვების შედეგების გათვალისწინებითა და ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღანელის/თანახელმძღვანელის და ამავე პროგრამის აკადემიური პერსონალის გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავდა ბიზნესის ადმინისტრირების ახალი საგანმანათლებლო პროგრამა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უნივერსიტეტში სისტემატური ხასიათი არ ჰქონდა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის ღონისძიებებს, რაც აღნიშნულია კიდეც თვითშეფასების ანგარიშში: „ხარისხის შიდა შეფასების სუსტ მხარეს წარმოადგენდა ის, რომ „ტბელის უნივერსიტეტში“ შემუშავებულ ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი – „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“, ასევე სხვადასხვა სახის კითხვარების წარმოება არ ხდებოდა სისტემატიურად, რაც ბუნებრივია ვერ იძლეოდა, როგორც სხვა, ასევე ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის განვითარების საჭიროებების შესახებ სწორ ინფორმაციას“. მიუხედავად მნიშვნელოვანი პროგრესისა უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საჭიროებს უფრო მჭიდრო თანამშრომლობას პროგრამაში ჩართულ პერსონალთან. აუცილებელია პროგრამაში ჩართული პერსონალის გადამზადება და მათთვის ტრენინგების მოწყობა, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლება-სწავლის ფორმები და შეფასების მეთოდები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ ;
- „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“;
- „პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესისაგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,
- შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“;
- „აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი“;
- „აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი“;
- „პროგრამის შემოწმების ფორმა“;
- „სილაბუსის შემოწმების ფორმა“;
- „სილაბუსის შეფასების ფორმა“; ,
- „სტუდენტთა კითხვარი“;
- „პერსონალის კითხვარი“;
- „კურსდამთავრებულთა კითხვარი“;
- „დამსაქმებელთა კითხვარი“;

რეკომენდაციები:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საჭიროებს უფრო მჭიდრო თანამშრომლობას პროგრამაში ჩართულ პერსონალთან. აუცილებელია პროგრამაში ჩართული პერსონალის

გადამზადება და მათთვის ტრენინგების მოწყობა, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლება-სწავლის ფორმები და შეფასების მეთოდები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. კერძოდ, მითითებულმა პროგრამამ 2012 წელს გაიარა აკრედიტაცია, განახლებულ პროგრამაში გათვალისწინებულ იქნა წინა აკრედიტაციისას მიცემული რეკომენდაციები. კერძოდ, გამრავალფეროვნებულიყო სილაბუსებში სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების სხვადასხვა ფორმები, გაუმჯობესებულიყო უნივერსიტეტში საერთო შეფასების სისტემა; სილაბუსებში გაწერილიყო საკონსულტაციო დღეები კონკრეტულად. მკაფიოდ გამოჩენილიყო სასწავლო კურსის სილაბუსებში რომელ კვირაში ტარდება დასკვნითი და განმეორებითი გამოცდა; დახვეწილიყო ცალკეული სილაბუსის მიხედვით ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები. ჩასწორებულიყო ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით წინაპირობები და გაზრდილიყო არჩევითი

კრედიტების წილი. ამ რეკომენდაციების შესაბამისად სასწავლო კურსის სილაბუსებში შეტანილი იქნა ცვლილებები: ჩასწორდა შესასწავლი კურსის წინაპირობები, ცვლილება იქნა შეტანილი უმაღლესი მათემატიკის სათაურსა და შინაარსში და ახალი სილაბუსი შედგა – ,,უმაღლესი მათემატიკა ეკონომისტებისათვის", სადაც შეიკვეცა გეომეტრიული თემები და გაიზარდა ფინანსური მათემატიკის შინაარსის მქონე თემატიკა. ინგლისური ენის მეორე დონის ცოდნის მიღების ხარისხის ამაღლებისათვის გაიზარდა მინიჭებული კრედიტების რაოდენობა. მიეთითა სილაბუსებში საკონსულტაციო დღეები. ○
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ○ ხარისხის დოკუმენტაცია
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგარმის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მონიტორინგი ძირითადად შემოიფარგლება კითხვარების დარიგებით, შევსებით და ანალიზით. დაინტერესებული მხარეები ნაწილი ინტერვიუს დროს ადასტურებდა კითხვარების მიღებას და შევსებას, მაგრამ მათ უჭირდათ საუბარი პროგრამის არსებით მხარეებზე, ვინაიდან ნაკლებად იცნობდნენ პროგრამის მიზმებს, სწავლის შედეგებს და სასწავლო გეგმას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან
- ხარისხის დოკუმენტაცია

რეკომენდაციები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კითხვარების შევსებით და ანალიზით, არამედ უნდა გააცნოს პროგრამა და თანდართული დოკუმენტაცია დაინტერესებულ მხარეებს, მოაწყოს მათთან შესაბამისი განხილვები და შემდგომ ამ განხილვებისა და გამოკითხვების ანალიზიდან გამომდინარე დაგეგმოს პროგრამის გაუმჯობესების ღონისძიებები;

- სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უნდა შემუშავდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასების ხარისხის ღონისძიებები (ურთიერთდასწრება, საცდელი ლექცია და სხვა)

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა			X	
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

გოჩა თუთბერიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

გიგი მიშელაძე

იოსებ მასურაშვილი